

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ. თელავი

2019 წლის 21 მარტი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

1. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები ნანა ხვისტანი, ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღალანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილ თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავშერიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.

დღის წერიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ

მომხს.ა.შათირიშვილი.

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მნიშვნელოვანია, ამდენად მიზანშეწონილია შემდგომში მისი

განხილვა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, ამასთან ერთად  
გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის  
ტურისტული ელექტრონული რუკის დამზადების ხარჯი არ არის  
ასახული 2019 წლის ბიუჯეტში, რაც უნდა იქნას გამოსწორებული.

ა. შათირიშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის  
დანარჩენმა წევრებმა.

**გადაწყვიტეს:** „თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური  
განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი“  
წარდგენილი იქნას საკრებულოს ბიუროზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



ალექსანდრე შათირიშვილი